ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7889899

ნომერი: AR11130972

თარიღი : 25.02.2026

გაცემის თარიღი : 22.04.2026

გაცნობის თარიღი : 24.04.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით კაშია პ/ნ 31001051434
- მცხეთა მუხრანის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 ნოემბრის №7277911 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 25 თებერვლის №AR11130972 განცხადებით მომართა დავით კაშიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 6

ნოემბრის №7277911 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 6 ნოემბრის №7277911 ბრძანებით, №01.19.24.007.047 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამსახურის 2024 წლის 8 ოქტომბრის №7245272 ბრძანებით შეთანხმებული საწყობის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 6 ნოემბრიდან 2026 წლის 6 ნოემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 6 ნოემბრის №7277911 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №892024108642, მომზადების თარიღი: 30/07/2024 წ.) თანახმად, №01.19.24.007.047 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ზ და გ ბილდინგ კომპანი" (ს/ნ: 400007620).
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B23122203; მომზადების თარიღი: 29/08/2023 წ.) შპს „ზ და გ ბილდინგ კომპანი"-ის (ს/ნ: 400007620) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს გიორგი დანელია (პ/ნ: 01424098801). სამსახურში წარმოდგენილია შპს „ზ და გ ბილდინგ კომპანი"-ის დირექტორის - გიორგი დანელიას მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: N260246573, რეგისტრაციის თარიღი: 26.02.2026 წ.) შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
განმცხადებლის მიერ სამსახურში ასევე წარმოდგენილ იქნა საპროექტო ტერიტორიის, დღევანდელი მდგომარეობით არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, რომლითაც დგინდება, რომ სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოები არ არის.
"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს მის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ამასთან, ზემოაღნიშნული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებით, ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები არ უქმდება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:
1. დაკმაყოფილდეს დავით კაშიას 2026 წლის 25 თებერვლის №AR11130972 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 6 ნოემბრის №7277911 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.